შპს “ნობლექსის“ (ს/ნ 204471561)

წამახალისებელი გათამაშების მოწყობის პირობები

(რეგლამენტი)

1. წამახალისებელი გათამაშების მომწყობის მსურველი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები და მოკლე ინფორმაცია:

წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორია **შპს „ნობლექსი“** (შემდგომში **„კომპანია” ან „აგროსფერო“**) (ს/ნ:204471561); რეგისტრაციის მისამართი: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი, N155), რომელიც წინამდებარე რეგლამენტით დადგენილი წესების შესაბამისად მართავს და ატარებს წამახალისებელ გათამაშებას.

- ,,კომპანია'' რეგისტრირებულია 2005 წლის 24 თებერვალს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა სრული დაცვით.
- ,,აგროსფეროს'' მფლობელობაშია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ტექნიკის, აგროქიმიისა და ინვენტარის მაღაზიათა ქსელი, რომელიც განთავსებულია საქართველოს მასშტაბით და ფუნქციონირებს საფირმო ნიშნით ,,აგროსფერო''. ამასთანავე, აგროსფერო აწარმოებს ხორბლის სერტიფიცირებულ სათესლე მასალას.
- ,,აგროსფეროს'' ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ტექნიკის, აგროქიმიისა და ინვენტარის რეალიზაცია და ხორბლის სათესლე მასალის წარმოება.

2. წამახალისებელი გათამაშების მოწყობის მიზეზი:

წამახალისებელი გათამაშების მოწყობის მიზეზია მაღალი კონკურენციის არსებობა, რის გამოც მნიშვნელოვანია, ბაიერის (BAYER KAZ LLC) მაღალხარისხიანი მცენარეთა დაცვის საშუალებების ცნობადობისა და ბრენდის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ზრდა.

3. გათამაშების მოწყობის მიზანი:

3.1. წამახალისებელი გათამაშების მიზანია ბაიერის (BAYER KAZ LLC) წარმოების პროდუქციის/მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და სათესლე მასალის გაყიდვების სტიმულირება, არსებული და პოტენციური მომხმარებლების მოზიდვა. მომხმარებლების მიერ ბაიერის (BAYER KAZ LLC) წარმოების პროდუქციაზე არჩევანის შეჩერება და ბრენდის მიმართ ლოიალობის გაზრდა.

4. პროდუქტი, რომლის რეკლამირებისათვის ხორციელდება წამახალისებელი გათამაშების მოწყობა:

ბაიერის (BAYER KAZ LLC) წარმოების მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და სათესლე მასალის რეალიზაცია.

5. წამახალისებელი გათამაშების ჩატარების ვადა და ადგილი

1. წამახალისებელი გათამაშება ჩატარდება შემდეგ პერიოდში 2025 წლის 15 მაისის 09:00 საათიდან და დასრულდება 2025 წლის 14 ივნისის 19:00 საათზე.
საპრიზო ფონდში გათვალისწინებული პრიზებს ღირებულება შეადგენს 24215.25 ლარს. ბილეთების სრული რაოდენობაა 3850 ცალი, აქედან მომგებიანი ბილეთების რაოდენობა 84 ცალი.

N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით (₾)	ჯამი (₾)
1	ერთი ხელით სამუშაო სეკატორი FELCO 2	2	240.00	480.00
2	ერთი ხელით სამუშაო სეკატორი FELCO 160S	3	85.25	255.75
3	ერთი ხელით სამუშაო სეკატორი FELCO 7	2	205.00	410.00
4	ერთი ხელით სამუშაო სეკატორი FELCO 5	3	123.00	369.00
5	ხელის ხერხი FELCO 600	3	102.75	308.25
6	დანა არაფიქსირებული პირით VICTORINOX 1.92 00	3	74.75	224.25
7	ხელის მექანიკური დასაკავებელი 7004	5	152.50	762.50
8	ჩითილის გადასარგავი (გაძლიერებული წვერით)	2	275.00	550.00
9	16639 ლუდის დასამზადებელი ნაკრები George's Beer Lager, 5ლ	8	106.125	849.00
10	16640 ლუდის დასამზადებელი ნაკრები George's Beer Pilsner, 5ლ	8	106.125	849.00
11	26 57249 ელექტრო სეკატორი Pruner C35	1	6162.50	6162.50
12	ვაზის ელექტრო დამაკავებელი FIXION 2	1	5172.50	5172.50
13	30010 ნიადაგის pH-მეტრი pH-Soil Tester	2	547.50	1095.00
14	40020 ტენიანობის საზომი ხელსაწყო Tensiometer 30 სმ.	2	286.25	572.50
15	რეფრაქტომეტრი (შაქრის საზომი) RETK-80 REW-25 bATC	7	125.00	875.00
16	მექანიკური შესაწამლი აპარატი KF-16-1	15	40.00	600.00
17	ელექტრო შესაწამლი აპარატი KF-16C–15	15	112.00	1680.00
18	მოტობლოკი ბენზინის ძრავით, ხელით დამქოქი, ახალი სახელური, საბურავი 500-12 GP5.4Q 240521036	2	1500.00	3000.00

2. საპრიზო ფონდში გათვალისწინებული პრიზების გათამაშების/გათამაშების ჩატარების ადგილია აგროსფეროს მაღაზიათა ქსელი, რომელთა მისამართებია:

- თბილისი, კახეთის გზატკეცილი N153 ს/კ 01.19.15.005.078;
- თელავი, აღმაშენებლის გამზირი შესახვევი N2 ს/კ 53.20.31.555;
- ყვარელი, მეურნეობის დასახლება ს/კ 57.06.68.000.609;
- ლაგოდეხი, სოფ. ჭაბუკიანი ს/კ 54.13.51.013;
- გურჯაანი, სოფ.ახაშენი ს/კ 51.08.59.004;
- გურჯაანი, თავისუფლების ქ.66 ს/კ 51.01.61.454;
- მარნეული, სოფ. წერეთელი ს/კ 83.04.10.040;

6. წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობისა და გათამაშების ბილეთის გაცემის წესი

6.1. წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობა შეუძლია „აგროსფეროს“ ნებისმიერ საცალო მომხმარებელს, რომელიც ერთჯერადად შეიძენს ბაიერის (BAYER KAZ LLC) წარმოების არანაკლებ 100 (ასი) ლარის ღირებულების პროდუქციას, (გარდა ამ რეგლამენტის 7.8. პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), ნაღდი, ნებისმიერი საბანკო პლასტიკური ბარათით, საბანკო გადარიცხვით ან სწრაფი გადახდის აპარატით ანგარიშსწორებით, აგროსფეროს მფლობელობაში არსებულ მაღაზიათა ქსელში, რომელიც განთავსებულია საქართველოს მასშტაბით, შემდეგ მისამართებზე:

- თბილისი, კახეთის გზატკეცილი N153 ს/კ 01.19.15.005.078;
- თელავი, აღმაშენებლის გამზირი შესახვევი N2 ს/კ 53.20.31.555;
- ყვარელი, მეურნეობის დასახლება ს/კ 57.06.68.000.609;
- ლაგოდეხი, სოფ. ჭაბუკიანი ს/კ 54.13.51.013;
- გურჯაანი, სოფ.ახაშენი ს/კ 51.08.59.004;
- გურჯაანი, თავისუფლების ქ.66 ს/კ 51.01.61.454;
- მარნეული, სოფ. წერეთელი ს/კ 83.04.10.040;

6.2. მომხმარებელს, ამ რეგლამენტით გათვალისწინებული წესით, ყოველი 100 (ასი) ლარის ღირებულების პროდუქციის ნაღდი, ნებისმიერი საბანკო პლასტიკური ბარათით, საბანკო გადარიცხვით ან სწრაფი გადახდის აპარატით ანგარიშსწორებით, ყოველ ჯერზე, (მხოლოდ თანხის გადახდის შემდგომ) უფლება ეძლევა გათამაშების გამჭირვალე კონტეინერიდან პირადად ამოიღოს წამახალისებელი გათამაშების 1 (ერთი) ბილეთი, რომლითაც მომენტალურად გამოავლენს პრიზს. მაგალითად: თუ მომხმარებელი შეიძენს 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარის ღირებულების პროდუქციას, მას გადაეცემა წამახალისებელი გათამაშების 5 (ხუთი) ბილეთი, 900 (ცხრაასი) ლარის პროდუქციის შენაძენზე, მას გადაეცემა გათამაშების 9 (ცხრა) ბილეთი, 1600 (ერთი ათას ექვსასი) ლარის შენაძენზე 16 (თექვსმეტი) ბილეთი და ა.შ.

6.3. წამახალისებელი გათამაშება დაიწყება 2025 წლის 15 მაისს 09:00 საათიდან და დასრულდება 2025 წლის 14 ივნისს 19:00 საათზე.

6.4. წამახალისებელი გათამაშებისთვის დაიბეჭდება გათამაშების 3850 (სამიათას რვაას ორმოცდაათი) ცალი ბილეთი, ნუმერაციით: 003851- 007700.

6.5. წამახალისებელი გათამაშების ბილეთზე მოგებული პრიზი დატანილი იქნება გადასაფხეკი ფენის (გილიოშური ბადის) ქვეშ.

6.6. ,,აგროსფეროს'' ფილიალებში განთავსებული კონტეინერიდან მომხმარებელი თავად იღებს გათამაშების ბილეთს.

6.7. საბანკო გადარიცხვის გზით ანგარიშსწორებისას, გათამაშების ბილეთები გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მომხმარებელი აგროსფეროს ფილიალებში წარუდგენს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემულ (წერილობით, ელექტრონულად ან ინტერნეტბანკის მეშვეობით) და დამოწმებულ საგადახდო დავალებას, რომელიც უტყუარად დაადასტურებს ანგარიშსწორების განხორციელებას. ამასთან, სწრაფი გადახდის აპარატით ანგარიშსწორებისას, გათამაშების ბილეთები გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მომხმარებელი აგროსფეროს წარუდგენს სწრაფი გადახდის აპარატის მიერ გაცემულ ქვითარს, რომელიც უტყუარად დაადასტურებს ანგარიშსწორების განხორციელებას.

6.8. წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობის მიღება ეკრძალებათ:

ა) აგროსფეროს (ს/ნ 204471561) თანამშრომლებს და მათი ოჯახის წევრებს (დედა, მამა, შვილი, მეუღლე, და, ძმა, ბებია, ბაბუა, შვილიშვილი);

ბ) 18 წელს მიუღწეველ ფიზიკურ პირებს;

გ) დიპლომატებს;

დ) არარეზიდენტ პირებს;

ე) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, ნებისმიერი ტიპის ამხანაგობას, ფონდებს;

ვ) კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებიც წარმოადგენენ ,,აგროსფეროს'' სადილერო/საბითუმო ქსელის კლიენტებს და სარგებლობენ სადილერო/საბითუმო

ფასებით. გარდა იმ შემთხვევისა თუ მათ მიერ პროდუქციის შეძენა ხდება საცალო ფასით.

• იმ შემთხვევაში თუკი რაიმე მიზეზის გამო, ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე პირი გახდება მოგებახვედრილი იღბლიანი ბილეთის მფლობელი, მასზე მოგება არ გაიცემა.

7. წამახალისებელი გათამაშების პროცედურა

7.1. დაბეჭდილი საერთო ბილეთების რაოდენობიდან (3850 ცალი) შემთხვევითობის პრინციპით და თანაბარი რაოდენობით განაწილდება ყველა ფილიალის გათამაშების გამჭვირვალე კონტეინერში (7 მისამართზე), თითოეულში (3850/7=550) 550 ცალი.

7.2. წამახალისებელი გათამაშება იქნება მომენტალური, კერძოდ, გამარჯვებული გამოვლინდება დაუყოვნებლივ, რადგან ბილეთზე დატანილი იქნება პრიზის შესახებ ინფორმაცია.

7.3. წამახალისებელ გათამაშებებში გამარჯვებული პირები გამოვლინდებიან იდენტური წესით, შემდეგნაირად: წამახალისებელი გათამაშების მონაწილე, ე.წ. გამჭვირვალე კონტეინერიდან, შემთხვევითობის პრინციპით, თავად ამოიღებს ყოველ 100 ლარზე გათამაშების ერთ ბილეთს.

7.4. გათამაშების სრული პერიოდის მანძილზე, გათამაშების მონაწილეს შესაძლებლობა აქვს მოიგოს რამდენიმე პრიზი, რაც დამოკიდებულია მის მიერ შეძენილი ბაიერის (BAYER KAZ LLC) წარმოების პროდუქციის ღირებულებაზე.

8. მოგების გაცემისა და პრეტენზიების განხილვის წესი

8.1. მოგების გაცემის ადგილია: გათამაშების ადგილის/აგროსფეროს ფილიალის მიხედვით. პრიზის გაცემის საერთო ვადაა მოგებიდან 30 დღე, ბილეთის წარდგენიდან არაუგვიანეს 6 დღისა:

8.1.1.	თბილისი, კახეთის გზატკეცილი N153	ს/კ 01.19.15.005.078;
8.1.2.	თელავი, აღმაშენებლის გამზირი შესახვევი N2	ს/კ 53.20.31.555;
8.1.3.	ყვარელი, მეურნეობის დასახლება	ს/კ 57.06.68.000.609;
8.1.4.	ლაგოდეხი, სოფ. ჭაბუკიანი	ს/კ 54.13.51.013;
8.1.5.	გურჯაანი, სოფ.ახაშენი	ს/კ 51.08.59.004;

8.1.6. გურჯაანი, თავისუფლების ქ.66 ს/კ 51.01.61.454;

8.1.7. მარნეული, სოფ. წერეთელი ს/კ 83.04.10.040;

8.2. წამახალისებელ გათამაშებაში გამარჯვებულებისათვის, პრიზის გადაცემა განხორციელდება გამჭვირვალე კონტეინერიდან მომგებიანი (გამარჯვებული) ბილეთის, პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის/ბინადრობის მოწმობის/ოფიციალური პასპორტის წარმოდგენისა და მისი იდენტიფიკაციიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) დღეში. გამარჯვებული მოთამაშის მიერ წარმოდგენილი მაიდენტიფიცირებელი რეკვიზიტ(ებ)ის შეუსაბამობის, გამარჯვებული პირისა და მომგებიანი (გამარჯვებული) ბილეთის წარმოდგენის შემთხვევაში მოგება არ გაიცემა.

8.3. პრიზის გაცემის საერთო ვადაა მოგებიდან 30 დღე, ბილეთის წარდგენიდან არაუგვიანეს 6 დღისა.

8.4. წამახალისებელ გათამაშებასთან დაკავშირებული პრეტენზი(ებ)ის მიღება განხორციელდება თითოეული პრიზის გათამაშებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, ყოველი სამუშაო დღის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N155; („აგროსფეროს" სათავო ოფისი). ამ პუნქტში მითითებული 5 (ხუთი) დღიანი ვადის გასვლის შემდგომ წარმოდგენილი პრეტენზიები არ განიხილება.

8.5. თითოეული პრეტენზია განიხილება მისი წერილობითი ფორმით მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, წამახალისებელი გათამაშების დროს შექმნილი კომისიის წევრთა ჯგუფის მიერ. პრეტენზიის ავტორს შესაბამისი გადაწყვეტილება გაეგზავნება მის მიერ პრეტენზიის შესახებ განცხადებაში მითითებულ მისამართზე ან ელექტრონულ ფოსტაზე.

8.6. თითოეული პრეტენზია წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი სახით, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს პრეტენზიის ავტორი და ერთვოდეს პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის/ბინადრობის მოწმობის/ოფიციალური პასპორტის ასლი, წინააღმდეგ შემთხვევაში პრეტენზია არ განიხილება.

8.7. იმის გათვალისწინებით, რომ ბილეთის ზომიდან გამომდინარე ტექნიკურად შეუძლებელი ყველა სავალდებულო რეკვიზიტის ბილეთზე დატანა, აქედან გამომდინარე კომპანია უზრუნველყოფს გათამაშების რეგლამენტის საჯაროობას.

8.8. წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორი უზრუნველყოფს გათამაშების წესების საჯაროობას ვებ-გვერდზე: https://agrosphe.re/20th;

8.9. წამახალისებელი გათამაშების მოგებათა ოფიციალური ცხრილი გამოქვეყნდება თითოეული პრიზის გათამაშებიდან (დასრულებიდან) არაუგვიანეს 3 (სამი)დღის ვადაში, ვებ-გვერდზე: https://agrosphe.re/20th;